



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების
მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოქშოუების მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში

19 ივნისი - 8 ოქტომბერი



საქართველოს
ჟურნალისტური
ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2017

პროექტის შესახებ

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში.

მონიტორები აკვირდებიან 14 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს - (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს და საინფორმაციო გამოშვების იმ ნაწილს, სადაც რესპონდენტებთან ათ წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის ინტერვიუს სთავაზობენ მაყურებელს. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25, რიონი, გურჯაანი, გურია, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ოდიში, მეცხრე არხი. სამონიტორინგო ტელევიზიებიდან ხუთი მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს, ცხრა კი - რეგიონებში.

მონიტორინგი მიმდინარე წლის 19 აგვისტოს დაიწყო. ტოქშოუების ნაწილი ეთერში სექტემბრის დასაწყისში, ნაწილი კი უფრო მოგვიანებით გავიდა. ტელეკომპანიებს „ოდიში“ და „გურჯაანი“ კი ტოქშოუები ტელეეთერში არ გაუშვიათ.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 19 აგვისტო - 8 ოქტომბრის პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევისას ხომ არ იკვეთება მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა წამყვანი მომზადებული, აძლევს თუ არა ის სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად. საერთო ჯამში იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

ძირითადი ტენდენციები:

- 2016 წლისგან განსხვავებით ეროვნულმა მაუწყებლებმა მკაცრად სტრუქტურირებული ტოქშოუ შესთავაზეს მაყურებელს, სადაც იწვევდნენ ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. შესაბამისად, ნათელი იყო გადაცემაში მონაწილე სუბიექტების მოწვევის პრინციპი. წამყვანები ამცნობდნენ აუდიტორიას, თუ რომელიმე კანდიდატი, მოწვევის მიუხედავად, გადაცემაში არ მივიდოდა სტუმრებს შორის ბალანსი თითქმის ყველა შემთხვევაში იყო დაცული.
- ტოქშოუებში, სადაც კანდიდატებს მოსაზრებების წარმოსაჩენად მკაცრად განსაზღვრული დრო ჰქონდათ, მეტი აქცენტი კეთდებოდა გადაცემის ფორმაზე, ვიდრე შინაარსზე. შემოთავაზებული ფორმატი კანდიდატების პრეზენტაციას უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე იმას, რასაც კლასიკური ტოქშოუს ფორმატი გვთავაზობს ხოლმე. თუმცა, აღნიშნული ფორმატი გარკვეულწილად ხელს უწყობდა დროის თანაბარ გადანაწილებას რესპონდენტებს შორის.
- იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველას თანაბრად ეძლეოდა საშუალება საკუთარი საარჩევნო დაპირებები საზოგადოებისთვის გაეცნო, თუმცა ნაკლებად იმართებოდა კრიტიკული მსჯელობა საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით.
- წამყვანთა კითხვები ძირითად შემთხვევაში ზოგადი იყო და არ გამომდინარეობდა კონკრეტული საარჩევნო პროგრამიდან. ისინი არ სვამდნენ კრიტიკულ, კონტრ კითხვებს, შესაბამისად ამომრჩევლისთვის ბუნდოვანი რჩებოდა თუ რამდენად რეალური იყო კანდიდატთა დაპირებები.
- როგორც 2016 წლის არჩევნებზე, ამჯერადაც ისმოდა ზოგადი კითხვები: „რას პირდებით ამომრჩევლებს? პირველ რიგში რომელ პრობლემას მოაგვარებთ? რამდენი მანდატის მიღებას გეგმავთ არჩევნებზე? და ა.შ. ეს შესაძლებლობას აძლევდა რესპონდენტს მხოლოდ სასურველი მიმართულებით წარემართა საუბარი.
- წამყვანთა კვალიფიკაციის პრობლემა განსაკუთრებით ჩანდა რეგიონულ არხებზე, სადაც პრაქტიკულად არ დასმულა კრიტიკული კითხვები.
- ზოგადად, რეგიონულ მაუწყებლებს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები აქვთ, რაც უკავშირდება ხმას, ვიზუალურ მხარეს, გადაცემის შეფუთვას. ყველა ეს პრობლემა, საერთო ჯამში, გადაცემას აუდიტორიისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის.
- სიძულვილის ენის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა ამგვარ ლექსიკას ძირითადად რესპონდენტები იყენებდნენ. წამყვანს, ხშირ შემთხვევაში, ჰქონდა კრიტიკული, ადეკვატური რეაქცია. დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, სადაც წამყვანმა საკუთარი შეკითხვით ხელი შეუწყო გენდერული სტიგმის გამლიერებას.
- ცალკე უნდა აღინიშნოს ტელეკომპანია „ობიექტივი“, რომლის გადაცემა „ღამის სტუდია“ ფაქტობრივად ერთი კონკრეტული პარტიის, პატრიოტთა ალიანსის პლატფორმაა და გადაცემას ძირითადად პარტიის წევრები წარმართავენ. სამონიტორინგო პერიოდში „ღამის სტუდია“-ს პატრიოტთა ალიანსის 47 წარმომადგენელი სტუმრობდა. სხვა კვალიფიციური სუბიექტებიდან მხოლოდ ერთი სუბიექტი იყო მიწვეული. გადაცემაში ჭარბობს

ანტიდასავლური რიტორიკა, თურქოფობია, ისმის სიძულვილის ენა, შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია, ოპონენტების მიმართ უპასუხოდ დარჩენილი ბრალდებები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში მაყურებელს შესთავაზა გადაცემა „თვითმმართველობა 2017“, რომელიც საზოგადოებას საარჩევნო კანდიდატებს აცნობდა. გადაცემა 18 სექტემბრიდან კვირაში სამჯერ გადიოდა ეთერში. 2016 წლისგან განსხვავებით, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სამი გადაცემა მუშაობდა საარჩევნო თემებზე, მათ შორის, მონიტორინგისას ყველაზე დადებითად შეფასებული გადაცემა „ინტერვიუ, წელს ამგვარი ე.წ. Hard Talk-ის ფორმატის გადაცემა, სადაც მწვავე კითხვები დაისმებოდა, ეთერში არ გასულა.

თვითმმართველობა 2017

საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ შემდეგი ქალაქების მერობის კანდიდატები: ბათუმი, ოზურგეთი, ფოთი, ქუთაისი, ამბროლაური, ახალციხე, მცხეთა. გადაცემის გუნდი ჩავიდა რეგიონებში და უშუალოდ ადგილიდან, ღია ცის ქვეშ მოწყობილი სცენა-სტუდიიდან სთავაზობდა მაყურებელს კანდიდატების ხედვებს. თითოეულ მათგანს მიეცა აზრის გამოხატვის და დისკუსიისთვის შერჩეულ საკითხებზე მოსაზრებების დაფიქსირების თანაბარი შესაძლებლობა.

გადაცემის დასაწყისში საზოგადოებას აცნობდნენ სტუმრების მოკლე ბიოგრაფიას, საარჩევნო სლოგანს; თუკი რომელიმე მოწვეული კანდიდატი გადაცემაში არ მონაწილეობდა, წამყვანი ამის შესახებ აცნობდა აუდიტორიას. კანდიდატების მიმართ დასმული კითხვები კი ადგილობრივი პრობლემების შესახებ მომზადებული ვიდეომბებიდან გამომდინარეობდა.

მაუწყებლის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გადაცემა კანდიდატებს შორის დებატებს ითვალისწინებდა, თუმცა, ფორმატიდან გამომდინარე, გადაცემის მონაწილეებს შორის დისკუსია არ შემდგარა და ისინი მხოლოდ საკუთარ ხედვებს წარადგენდნენ. გადაცემის წამყვანი იყო პასიურ როლში, არ სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს, არ ითხოვდა სიღრმისეულ პასუხებს და მხოლოდ ერთსა და იმავე ზოგად კითხვაზე (როგორ აპირებთ?) სასაუბროდ უთმობდა 2 წუთს თითოეულ სტუმარს. ფორმატიდან გამომდინარე წამყვანს არ ჰქონდა შესაძლებლობა კონტრკითხვები დაესვა მაშინაც კი, როდესაც არარელევანტურ პასუხს იღებდა სტუმრებისგან. მაგალითად, [2 ოქტომბერს](#) „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელს წამყვანმა ჰკითხა რაჭაში გაზიფიცირების პრობლემის მოგვარების შესახებ, რესპონდენტის პასუხი კი გირჩის შეგროვება-მოპოვებას შეეხებოდა; ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა ნაგავსაყრელს, ხე-ტყის ჭრასა და ამ კუთხით ივანიშვილის ინტერესებზე საუბრით უპასუხა და ა.შ.

გადაცემის ბოლოს წამყვანი სხვადასხვა კითხვას უსვამდა თითოეულ კანდიდატს, თუმცა აქაც მისი კითხვები იყო ზოგადი. [22 სექტემბრის](#) გადაცემაში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ როგორ მოაგვარებდა ის მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემას. ეს კითხვა იყო სავსებით არალოგიკური, ვინაიდან ეს კანდიდატი ფართო საზოგადოებამ გაიცნო ადგილობრივი ჟურნალისტის გიორგი გირკელიძის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებით, რის გამოც ონლაინ გამოცემა „გურია ნიუსი“ მას სასამართლოში უჩივის. მნიშვნელოვანი იქნებოდა სწორედ ეს საკითხი წამოეწია საზოგადოებრივ მაუწყებელს, რათა მაყურებელს შექმნოდა ნათელი წარმოდგენა, თუ რა მმართველობის სტილი შეიძლება ჰქონდეს ამ კანდიდატს და როგორ ესმის მას მედიის და გამოხატვის თავისუფლება.

შეკითხვები თითქმის იდენტური იყო ყველა ქალაქში, რაც უკავშირდებოდა მუნიციპალური ტრანსპორტის, წყალმომარაგების, განაშენიანების პრობლემას. გასაგებია, რომ ეს პრობლემები აწუხებთ მთელ საქართველოში, თუმცა მუნიციპალიტეტების მიხედვით მაინც არსებობს ისეთი წყება საკითხებისა, რომლებიც ყველაზე მწვავედ გვხვდება მხოლოდ ამ მუნიციპალიტეტში: მაგალითად, ზუგდიდში აზიური ფაროსანას პრობლემა; ქუთაისში - მისი ფუქციონალური დატვირთვის მნიშვნელობა - საპარლამენტო, საუნივერსიტეტო ქალაქი, თუ საერთაშორისო აეროპორტზე მიბმული ტურისტული ცენტრი და ა.შ. ადგილობრივი სპეციფიკა არ ყოფილა გათვალისწინებული არც ერთ გადაცემაში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ვოქს პოპში მოქალაქეები საუბრობდნენ სხვა პრობლემებზე და წამყვანის შეკითხვები არ ასახავდა მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს.

სტუმრებს ერთმანეთისთვისაც არ შეეძლოთ კითხვების დასმა. შედეგად, კანდიდატები სასურველ მოსაზრებებს ავრცელებდნენ, პირდებოდნენ საზოგადოებას პრობლემების მოგვარებას, თუმცა რამდენად რეალური იყო მათი დაპირება, ჩაკითხვების არარსებობის გამო, გაურკვეველი რჩებოდა. მაყურებელს არ ჰქონდა საშუალება გაეანალიზებინა, თუ რამდენად შეუძლიათ კანდიდატებს დაპირების შესრულება.

იმის გამო, რომ გადაცემის სტუდია ღია ცის ქვეშ იყო მოწყობილი, მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, დამატებითი პრობლემები იქმნებოდა. მაგალითად, [29 სექტემბერს](#) ძლიერ ქარში მოუხდათ ქუთაისის მერობის კანდიდატებსა და ჟურნალისტს რამდენიმესაათიანი საუბრის წარმართვა. ეს იწვევდა ტექნიკურ პრობლემასაც – წყდებოდა ხმა, ყანყალებდა კადრი და ა.შ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა კიდევ, რომ გაუსაძლისი იყო ასეთ პირობებში დებატები. შესაბამისად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რესპონდენტებს ერთი სული ჰქონდათ ჩაემთავრებინათ სათქმელი და დროულად დაესრულებინათ გადაცემა, რამაც, ფაქტობრივად, მოვალეობის მოხდის მიზნით საუბრად აქცია მთელი ტოქშოუ.

რუსთავი 2

ტელეკომპანია რუსთავი 2 წინასაარჩევნო პერიოდში მაცურებელს სთავაზობდა ორ ტოქშოუს - გიორგი გაბუნიას „არჩევანი“ და ეკა კვეციტაძის „აქცენტები“. პირველი სექტემბერში ერთხელ, ოქტომბრიდან კი კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში, მეორე კი კვირაში ერთხელ. „არჩევანი“ კანდიდატების ხედვებს აცნობდა აუდიტორიას, „აქცენტებში“ კი დისკუსია მიმდინარეობდა სხვადასხვა საკითხზე.

არჩევანი

საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის მერობის და საკრებულოს კანდიდატები. თუმცა კანდიდატების წარდგენამდე 7 სექტემბერს გავიდა სპეციალური „არჩევანი“, რომელსაც ერთადერთი სტუმარი ჰყავდა - მიხეილ სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, რომელიც მოქალაქეობის ჩამორთმევის მიუხედავად, 10 სექტემბერს პოლონეთიდან უკრაინაში გემავდა შესვლას. 45 წუთის განმავლობაში წამყვანი სტუმარს ზოგად, ნაკლებად კრიტიკულ შეკითხვებს უსვამდა და საშუალებას აძლევდა ესაუბრა იმ თემებზე, რაზეც სტუმარს სურდა საუბარი - როგორ სცემს შიშის ზარს ის უკრაინის პრეზიდენტს, როგორი მშიშარაა მისი ოპონენტი და აშ.

საარჩევნო ფორმატში გადაცემის პირველი ბლოკი ეთმობოდა კანდიდატების ხედვებს. თითოეულ მათგანს თანაბრად ეძლეოდა საუბრის საშუალება. წამყვანი ასრულებდა მოდერატორის ფუნქციას და სთხოვდა თითოეულ კანდიდატს გამოკითხვის შედეგად შერჩეული პრობლემების მოგვარების გზებზე განსაზღვრულ დროში ეპასუხათ. სტუმრები იძლეოდნენ ზოგად დაპირებებს, რომ მოაწესრიგებენ პარკინგს, სანიაღვრე სისტემას, შექმნიან სამუშაო ადგილებს, მაგრამ კონკრეტულად როგორ მოახერხებენ ამას არც თავად აკონკრეტებდნენ და, ფორმატიდან გამომდინარე, არც წამყვანი უწევდა ოპონირებას.

გადაცემის მეორე ნაწილში კითხვების დასასმელად მოწვეულნი იყვნენ იმ რეგიონის ჟურნალისტები, საიდანაც კანდიდატები სტუმრობდნენ გადაცემას. თითოეულ მათგანს კითხვების დასასმელად 10 წუთი ჰქონდა. მათი კითხვებიც უმეტეს შემთხვევაში იყო ზოგადი, ეხებოდა ბევრ თემას; კითხვები არ გამომდინარეობდა პასუხებიდან, შესაბამისად კანდიდატების პასუხებიც არ იყო კონკრეტული. შედეგად კი ამომრჩევლისთვის ბუნდოვანი რჩებოდა თუ რამდენად შეუძლია კანდიდატს გაცემული დაპირების შესრულება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა [12 სექტემბრის](#) გადაცემა, სადაც რუსთავიდან მოწვეულმა ჟურნალისტებმა ასეთი კითხვები დაუსვეს კანდიდატებს:

- *წელან გისმენდით და წამოგცდათ თუ მართლა აპირებთ სპორტის სასახლის მშენებლობას?* (12.09) - გაუგებარია, რატომ დასვა ჟურნალისტმა ეს კითხვა, თუკი რაიმე კრიტიკული, დამაზუსტებელი კითხვის დასმას აღარ აპირებდა?

- როგორ აპირებთ დასაქმების პრობლემის გადაჭრას, მაშინ როცა აზოტის ქარხნიდან, მეტალურგიული ქარხნიდან ყოველწლიურად უამრავ ადამიანი თავისუფლდება? - ბუნდოვანი დარჩა, რისი თქმა სურდა ამ კითხვით ჟურნალისტს, კერძო კომპანიაში შტატების შემცირება მერიას როგორ უკავშირდება?
- რუსთაველებისთვის რამდენად ხელმისაწვდომი მერი იქნებით?
- თქვენ რას ფიქრობთ ნეპოტიზმზე? - ცხადია, ამ შემთხვევაშიც ყველა კანდიდატმა თქვა, რომ ნეპოტიზმი მიუღებელია და თუ ისინი მოვლენ მერად, ამგვარი რამ მერიაში არ იქნება.
- როგორ ხედავთ თქვენს თავს საკანონმდებლო (!) ორგანოში? - რესპონდენტმა შეუსწორა და უთხრა, რომ საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და არა საკანონმდებლო.

სხვა ქალაქის კანდიდატების მიმართაც ისმოდა იმდაგვარი კითხვები, რაც პირველ ბლოკში იყო; მაგალითად, როგორ მოაგვარებთ სოციალურ, სატრანსპორტო პრობლემას და აშ. ამ ბლოკში უმჯობესი იქნებოდა, პროგრამა წინასწარ სცოდნოდათ და იქიდან გამომდინარე დაესვათ კონკრეტული კითხვები.

აქცენტები

გადაცემის პირველი ბლოკი კონკრეტულ თემაზე დისკუსიას სთავაზობდა მაყურებელს, მეორე ბლოკში კი თბილისის მერობის კანდიდატებს მწვავე დისკუსიის (ე.წ. Hard Talk) ფორმატში უწევდათ ჟურნალისტის კითხვებზე პასუხი. გადაცემა იყო დინამიკური და, ხშირ შემთხვევაში, მაყურებელი ბევრ ახალ ინფორმაციას იგებდა სადისკუსიო თემების შესახებ. წამყვანი ცდილობდა ყოფილიყო შემტევი და კრიტიკული. თუმცა, ზოგჯერ რესპონდენტების პასუხებს ფაქტობრივი მონაცემების, ამონარიდების ნაცვლად უპირისპირებდა მხოლოდ ირონიას. ამასთან, იყო შემთხვევები, როდესაც კითხვისას დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობების გამო რესპონდენტების კრიტიკა დაიმსახურა. მაგალითად, [9 სექტემბერს](#) კახა კუკავას სტუმრობისას მან თქვა, რომ ის კანდიდატად წარადგინა ნინო ბურჯანაძის პარტიამ, როდესაც სინამდვილეში კუკავა ორი პარტიის ბლოკის მიერაა წარდგენილი. ამ ერთი შეხედვით მცირე შეცდომამ სტუმარს საშუალება მისცა, რომ ჟურნალისტი მოუმზადებლობისთვის გაეკრიტიკებინა. წამყვანს ასეთივე ბრალდება წაუყენა კიდევ ერთმა კანდიდატმა ირმა ინაშვილმა (16.09). წამყვანმა ჰკითხა, ის და მისი პარტია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ხმამაღალ პროტესტს რატომ არ გამოთქვამდნენ მაშინ, როცა ყველა სხვა ოპოზიციური პარტია და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი აპროტესტებდა მას. რესპონდენტმა უპასუხა, რომ წამყვანი მოუმზადებელია, რადგან პარტია აქტიურად აკრიტიკებდა პროცესს, რაც ასეც იყო¹.

ამავე გადაცემაში ლეიბორისტული პარტიის თბილისის მერობის კანდიდატმა გიორგი გუგავამ მისი კონკურენტის, კახა კალაძის მიმართ არაერთი ბრალდება გააჟღერა, უწოდა მას

¹ <http://go.on.ge/ftb>

კორუმპირებული, მაფიოზი და ა.შ. ისე, რომ ჟურნალისტს არ მოუთხოვია რაიმე მტკიცებულება ამ ბრალდებების რელევანტურობაში დასარწმუნებლად.

გუგავასთან და ირმა ინაშვილთან საუბარი ნაკლებად იყო ფოკუსირებული კონკრეტულ საარჩევნო დაპირებებზე. უმჯობესი იქნებოდა მეტი სიღრმისეული და ფაქტობრივი შეკითხვები კონკრეტულ დაპირებებზე. მაგალითად ინაშვილმა თქვა, რომ აპირებს მერიის ბაზაზე ფონდის დაფუძნებას, რომელიც მიკრობიზნესის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. საინტერესო იქნებოდა ამ ფონდის შესახებ უფრო დეტალურად საუბარი – რამდენად რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული იქნება მსგავსი ფონდი, როცა მსგავსი მიზნებისთვის არის უკვე ქვეყანაში შექმნილი საპარტნიორო ფონდი ან, თუნდაც, იგივე თანაინვესტირების ფონდი.

თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატთან, ალექო ელისაშვილთანაც დისკუსია უფრო მეტად დაეთმო იმის გარკვევას თუ რატომ იყო ის პასიური საკრებულოში 29 სექტემბერს გამართულ ხმაურიან სხდომაზე. იყო შეკითხვები, რომლებიც ეფუძნებოდა ჰიპოთეტურ ეჭვებს ჟურნალისტის მხრიდან – მაგალითად, რატომ აქვს არასტაბილური საარჩევნო კამპანია, ხომ არ თქვა უარი რესპუბლიკელებთან ურთიერთობაზე იმის გამო, რომ მათ ეკლესიის წინააღმდეგ კამპანია აირჩიეს და ა.შ. იმის მიუხედავად, რომ რესპონდენტები ვოქს პოპში ითხოვდნენ პასუხებს საცობებისგან განტვირთვის პოლიტიკაზე, ისტორიული შენობების დაცვასა და ა.შ. ეს კითხვები ჟურნალისტს მერობის კანდიდატისთვის არ დაუსვამს. შესაბამისად, რესპონდენტს არ მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა, თუ როგორ აპირებს დასახელებული პრობლემების მოგვარებას. უმჯობესი იყო, ამ საკითხებზე გაეწია ჟურნალისტს არგუმენტირებული ოპონირება და აუდიტორიას გაეგო კანდიდატის ხედვების რელევანტურობის შესახებ.

იმედი

წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში კვირაში ერთხელ გადიოდა საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა „ამომრჩევლის პირისპირ.“

ამომრჩევლის პირისპირ

გადაცემის ფორმატი არ იყო მყარი. მაგალითად, პირველი გადაცემის პირველ ბლოკში მონაწილეობდნენ ქუთაისის მერობის კანდიდატები, მეორე გადაცემაში საარჩევნო გარემოზე ისაუბრეს, მესამე გადაცემას კი თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატები სტუმრობდნენ. სამ გადაცემაში მეორე ბლოკი პარტიულ პრეზენტაციას ეთმობოდა, მეოთხე გადაცემაში კი პარტიის პრეზენტაცია პირველ ბლოკში გაიმართა და მეორე ბლოკში საარჩევნო გარემოზე იმსჯელეს; ამ თემაზე სასაუბროდ კი მხოლოდ სამი პარტიის (ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო) წარმომადგენელი იყო მიწვეული. მათი შერჩევის პრინციპიც ბუნდოვანი დარჩა, რადგან საარჩევნო გარემო სხვა კანდიდატებსაც ეხებათ. წამყვანი თითოეულ სტუმარს სასაუბროდ თანაბარ დროს უთმობდა.

წამყვანის მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის დასმული კითხვები იყო ზოგადი, რაც გამომდინარეობდა ქუჩაში გამოკითხული მოსახლეობის პასუხებიდან. მაგალითად, ქუთაისის მერობის კანდიდატებს (12.09) წამყვანი ეკითხებოდა თუ რას ფიქრობენ ქუთაისში წყალმომარაგების, გარევაჭრობის, ინფრასტრუქტურის პრობლემებზე. ფაქტობრივად, წამყვანს მხოლოდ მოდერატორის ფუნქცია ჰქონდა, ვინაიდან არ სვამდა დამაზუსტებელ, კრიტიკულ კითხვებს, არ წარმოადგენდა კონტრარგუმენტებს. შედეგად, გაურკვეველი რჩებოდა, რამდენად შეუძლიათ კანდიდატებს პრობლემების მოგვარება და რამდენად რეალურია მათი დაპირება. მაგალითად, გადაცემიდან იკვებებოდა, რომ ქუთაისში წყალმომარაგების საკითხი აწუხებს მოსახლეობას. ყველა კანდიდატი ამბობდა, რომ ამ პრობლემას მოაგვარებს სხვადასხვა გზით. თუმცა, ჟურნალისტს კანდიდატებისთვის არ უკითხავს, კონკრეტულად როგორ მოაგვარებენ ამ პრობლემას, აქვთ თუ არა დათვლილი, რა დაჯდება მათი პროექტები და საიდან გამოათავისუფლებენ ამ თანხებს. საკითხების უმეტესობაზე კითხვები და პასუხებიც იყო ზოგადი, კონკრეტიკას მოკლებული და შესაბამისად, მაყურებლისთვის ბევრი დეტალი ბუნდოვანი რჩებოდა.

რაც შეეხება პარტიების პრეზენტაციის ნაწილს, საანგარიშო პერიოდში გადაცემას ამ ფორმატში სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი“, ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“, „ევროპული საქართველო“ და „ნაციონალური მოძრაობა“. გადაცემის ამ ბლოკში უფრო მეტად ისმოდა კითხვები, სადაც ჩანდა წამყვანის მომზადება. თუმცა რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ საკითხი წამყვანს კარგად არ ჰქონდა მოკვლეული. [12 სექტემბერს](#) წამყვანმა სტუმრებს შეახსენა, რომ ისინი მუდმივად აპელირებენ „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ გადასულ პირებზე, ამის პარალელურად კი წელს ახალქალაქში „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი 2012-2016 წლებში იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. „ჩამჭრელ“ შეკითხვას ირმა ინაშვილმა უპასუხა, რომ ეს კანდიდატი მითითებულ პერიოდში „ქართულ ოცნებაში“ იყო. წამყვანს დამატებითი კომენტარი არ გაუკეთებია. სჯობდა წამყვანს ეს საკითხი წინასწარვე კარგად გაერკვია.

იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემაში რესპონდენტის მხრიდან ისმოდა ქსენოფობიური და სექსისტური გამონათქვამები. მაგალითად [19 სექტემბერს](#) კახა კუკავამ თქვა, რომ „ჩვენ ხელი უნდა შევუშალოთ არაბული, თურქული კვარტლების მშენებლობას, ეს არის მავნებლობა და ჩვენ კანონის და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა დავიწყოთ ამ მიგრანტების დეპორტაცია.“ წამყვანის მხრიდან შესაბამისი კითხვების არდასმის გამო გაუგებარი დარჩა, რას ნიშნავს თურქული და არაბული კვარტლები, კონკრეტულად სად ეგულება ასეთი კვარტალი კანდიდატს? როგორ აპირებს ამ კვარტლების მშენებლობისთვის ხელის შეშლას, თანაც „კანონის და საერთაშორისო სტანდარტების“ დაცვით? რატომ არის მავნებლობა ასეთი კვარტლების არსებობა, (თუკი საერთოდ არსებობს), რომელი მიგრანტების დეპორტაციას აპირებს კუკავა?

26 სექტემბერს ნაციონალური მოძრაობის პირველმა ნომერმა ნიკა მელიამ, სექსისტური გამონათქვამები გამოიყენა ქართული ოცნების პირველი ნომრის, მარიკა დარჩიას მიმართ. მას სახელის ნაცვლად მიმართავდა მხოლოდ სიტყვით „ქალბატონო“. „არ გეწყინოთ, ჩემო ქალბატონო... მე ძალიან მერიდება, თქვენთან, როგორც ქალბატონთან, ამაზე საუბარი“. მოგვიანებით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისთვის არაკომფორტულია „ქალბატონთან“ დებატი - „არ ვგრძნობ კომფორტულად თავს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ქალბატონი ბრძანდებით“. წამყვანს არ მიუთითებია მელიასთვის, რომ ორივე სიის პირველი ნომერია, მათ თანაბარი სტატუსი აქვთ და არ შეიძლება სექსის გამო ოპონენტის დაკნინება.

19 სექტემბერს წამყვანმა შესავალში აღნიშნა: *საარჩევნო კამპანიების უკანონო გზებით მხარდაჭერის ცდუნება ძალიან დიდია. დასავლეთის ქვეყნებს ათწლეულები დასჭირდათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ კი ჯერ კიდევ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც ხშირად ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გვესმის, რომ მმართველი გუნდი წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს. არც სამთავრობო გუნდი ერიდება თავის მართლებას*. რეალურად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი ფაქტი არსებობს, რასაც ადასტურებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, მედიით გავრცელებული ინფორმაცია. შესაბამისად, წამყვანის მხრიდან გაკეთებული განცხადება, რომ ბრალდებების მტკიცებულება არ არსებობს, მაყურებელს მიანიშნებდა, თითქოს მსგავს დარღვევებს ადგილი არ აქვს.

ქრონიკა

შაბათის საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა“ იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემაში ჩართეს მონიტორინგის სუბიექტები და მათთან ინტერვიუ შესთავაზეს მაყურებელს. სადისკუსიო თემა ახალი ამბებიდან გამომდინარეობდა და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი მიკერძოებული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ. მაგალითად, 23 სექტემბერს ირაკლი აბესაძე ევროპული საქართველოდან და მამუკა მდინარაძე ქართული ოცნებიდან ვენეციის კომისიის დასკვნაზე საუბრობდნენ. წამყვანს გაუჭირდა იურისტების დებატებს გამკლავებოდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი კრიტიკულად ხელისუფლების ნაცვლად ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ იყო განწყობილი. მას არ შეუწყვეტინებია საუბარი მამუკა მდინარაძისთვის, როცა ის საფუძველს მოკლებული არგუმენტებით ცდილობდა ოპოზიციონერის დისკრედიტირებას: *„ჩვენ გვყავს პარტიები, რომლებიც აშკარად გამოკვეთილ ანტიდასავლურ კამპანიას ეწევიან, და ამას არ მალავენ, და ირაკლის [აბესაძე] მის გუნდს, სხვა დეკლარირებულად პროდასავლურ პარტიებს მოუწიათ დაჯდომა მათთან, კონსტიტუცია აერთიანებთ, ანუ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებივით ფიქრობენ ეს ადამიანები? რა ვიფიქროთ ამ შემთხვევაში“*. ჟურნალისტი საშუალებას აძლევდა დეპუტატს სხვა საკითხებზე მსჯელობა გაეგრძელებინა და, რომ არა აბესაძის დაჟინებული მცდელობა გამოხმაურებოდა ამ ალოგიკურ მოსაზრებას, ეს „არგუმენტი“ დარჩებოდა „არგუმენტად“.

წამყვანის მხრიდან მიკერძოების განცდა რჩებოდა 30 სექტემბერსაც, როდესაც ჩართეს არჩილ თალაკვაძე ქართული ოცნებიდან და ზურაბ ჭიაბერაშვილი ევროპული საქართველოდან. ზურაბ ჭიაბერაშვილი საუბრობდა წინასაარჩევნო დარღვევებზე, ძალადობის ფაქტებზე. წამყვანმა შეაწყვეტინა და შეახსენა, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ხდებოდა ამგვარი ფაქტები და სთხოვა ერჩია ხელისუფლებისთვის როგორ იბრძოლონ ამგვარი დარღვევების წინააღმდეგ. ცხადია, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრთან სრულიად ლეგიტიმურია საუბარი წარსულ შეცდომებზე, თუმცა საკითხის ისე დასმა, თითქოს ხელისუფლებას პრობლემებთან ბრძოლის სურვილი აქვს და მხოლოდ რჩევა სჭირდება თუ როგორ მოაგვაროს, გამორიცხავს დაშვებას, რომ დარღვევებში ბრალი მხოლოდ რიგით აქტივისტებს მიუძღვის და არა ხელისუფლებას. ამის საპირისპიროდ ნაცვლად კონკრეტულ ბრალდებებზე პასუხისა, არჩილ თალაკვაძეს მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა პოზიტიურ ტენდენციებზე ნაციონალური მოძრაობის დროინდელ დარღვევებისა და ქართული ოცნების დროინდელი დარღვევების შედარების ჭრილში, და პირიქით, ოპოზიცია დაედანაშაულებინა კანონდარღვევებში.

ტვ პირველი

ტელეკომპანია „პირველი“ დღის განმავლობაში აუდიტორიას რამდენიმე ტოქშოუს სთავაზობს, თუმცა მონიტორინგში მოხვდა მხოლოდ საღამოს 8 საათზე გასული გადაცემები. მონიტორინგის დასაწყისში (აგვისტო) გადაიცემოდა „დღის ამბები“, სექტემბერში კი მცირედ შეიცვალა სამაუწყებლო ბადე და თითოეულ დღეს განსხვავებული ტოქშოუ გადიოდა ეთერში – რეაქცია, ხალხის პირისპირ, პოლიტმეტრი, პირველები (კვირაში ორჯერ). არხი ცდილობდა წინასაარჩევნო პერიოდში როგორც პარტიების, ისე მერობის კანდიდატების ხედვები გაეცნო აუდიტორიისთვის.

დღის ამბები

მონიტორინგის დასაწყისში გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველდღე. ტოქშოუში უმეტესად დღის აქტუალური საკითხები განიხილებოდა. სწორედ ამ საკითხებზე ცდილობდნენ წამყვანები სტუმრებისგან დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ. წამყვანები არ ავლენდნენ მიკერძოებას და სამართლიანად ანაწილებდნენ დროს სტუმრებს შორის. ძირითად შემთხვევაში სტუმრები იყვნენ რელიევანტურები. 24 აგვისტოს თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ხელისუფლებას და ცესკოს აკრიტიკებდა საარჩევნო მანიპულაციების მოწყობისა და ხელოვნურად გართულებული მდგომარეობის გამო. მანვე ისაუბრა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებზე ქართული ოცნების მხრიდან. წამყვანმა აქცენტი გააკეთა მხოლოდ კანდიდატად ელისაშვილის რეგისტრაციის თემაზე და არ დაინტერესებულა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებით.

ხალხის პოლიტიკა

გადაცემა კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში და ითვალისწინებდა დებატებს როგორც მერობის კანდიდატებს შორის, ისე აქტუალურ საკითხებზე. მაგალითად, დაპირისპირება საკრებულოში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა და ა.შ. რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, საანგარიშო პერიოდში მოწვეულნი იყვნენ ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთის, რუსთავის მერობის მსურველები.

გადაცემის პირველ ნაწილში, რომელიც სხვადასხვა თემას ეხებოდა, უმეტესად რელიევანტური სტუმრები იყვნენ მოწვეული. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემა მთლიანად სტუმრების ურთიერთბრალდებებსა და დაპირისპირებაზე იყო აგებული და ნაკლებად ისახავდა მიზნად აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებას. მაგალითად, 4 სექტემბერს ტოქშოუ მიეძღვნა სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხს. გადაცემის სტუმარმა მტკიცებულებების გარეშე არაერთი ბრალდება გააჟღერა ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის, ქეთი დოლიძის მიმართ. მოგვიანებით ქეთი დოლიძეც ჩაერთო ეთერში და მანაც ბრალდებების რეჟიმში გააგრძელა საუბარი. ამ თემაზე საუბარი დაახლოებით 1.5 საათს გაგრძელდა და, ძირითადად, ეს იყო დაუსაბუთებელი ბრალდებები, რესპონდენტების მიერ ერთმანეთის პირადი შეურაცხყოფა და ა.შ.

გადაცემაში ერთ-ერთი რესპონდენტი, ჯეალალ ქიქავა იყენებდა არაკორექტულ, არაეთიკურ ეპითეტს ბიძინა ივანიშვილის მიმართ, კერძოდ, მას მოიხსენიებდა „ხიხოდ,“ თუმცა წამყვანს არ ჰქონია ამაზე რეაქცია. გარდა ამისა, გადაცემაში სტუმრად მიწვეული გაია ჭანტურია წარდგენილი იყო, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი და არ იყო აღნიშნული, რომ ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი დიდუბეში.

რაც შეეხება მერობის კანდიდატების სტუმრობას, წამყვანი ყველასთანაბრად უთმობდა დროს, (თუმცა ეს დრო არ იყო მექანიკურად გადანაწილებული) და აძლევდა სტუმრებს შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად გაეცათ პასუხი. მნიშვნელოვანია, რომ გადაცემაში სტუმრებს ჰქონდათ საშუალება ერთმანეთის ნათქვამზე გაეკეთებინათ რეპლიკა, შეპასუხებოდნენ, დაესვათ კონტრ კითხვა. რიგ შემთხვევაში მწვავდებოდა დისკუსია, თუმცა წამყვანი მართავდა მას. სადისკუსიო საკითხები მოიცავდა იმ რეგიონისთვის აქტუალურ თემას, სადაც კენჭს იყრიდნენ კანდიდატები. წამყვანი სვამდა დამაზუსტებელ კითხვებსაც, ლოგიკურად ავითარებდა დისკუსიას. თუმცა 11 სექტემბერს, როდესაც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა თქვა, რომ „ქალაქი ჩააბარეს თურქებს“ და ქალაქი „მიდის ნგრევისკენ“, წამყვანმა ოპონირება არ გაუწია, მხოლოდ ჰკითხა „ანუ რას ეუბნებით ამომრჩევლებს?“. საერთო ჯამში გადაცემის ეს ნაწილი იყო დინამიკური და საინტერესო.

რეაქცია

გადაცემაში აქტუალურ თემებს განიხილავდნენ და მრავალი სტუმარი მონაწილეობდა. რიგ შემთხვევებში დისკუსია ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობდა და წამყვანი ვერ ახერხებდა სტუმრების მოდერაციას. ისმოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამებიც (მაგ. 7.09). იყო გადაცემები, როდესაც წამყვანი უმეტესად მიჰყვებოდა რესპონდენტების მიერ წამოწეულ თემებს და მათზე ითხოვდა პასუხებს (მაგ. 19.09).

5 სექტემბერს გადაცემის თემა იყო ე.წ. „ციანიდის საქმე“, სადაც ჟურნალისტმა დასვა საზოგადოებაში ამ საქმესთან დაკავშირებით დაგროვებული მნიშვნელოვანი კითხვები. მეორე ბლოკში საარჩევნო გარემოზე სასაუბროდ კი უკვე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ჰყავდა სტუმრად და მათთანაც ამავე თემაზე გააგრძელა საუბარი. დისკუსია დაიწყო ინტერაქტივში დასმული კითხვით – „ეთანხმებით თუ არა სასამართლოს განაჩენს, რომ დეკანოზი მამალაძე დამნაშავეა?“ ზოგადად, შეკითხვების მსგავსი ფორმულირება ძალიან ჰიპოთეტური მსჯელობისა და პასუხების გაცემის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომაც, უმჯობესია პოლიტიკოსებთან დებატების დროს შეკითხვა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს. სწორედ მსგავსად ფორმულირებული ზოგადი ჰიპოთეტური შეკითხვის გამო საუბრის ფოკუსი გადავიდა იმაზე, რომ „ზოგადად ბოროტების მარცვლები დათესა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ამ კონტექსტში განიხილეს ოპონენტებმა „ციანიდის საქმეც.“ ამას მოჰყვა ზოგადი განცხადებები, ურთიერთდაპირისპირება, უსაგნო საუბრები სტუდიაში. ჟურნალისტმა, მართალია, აღნიშნა „ქართულ ოცნებას, როგორც ჩანს, სტრატეგია აქვს ასეთი – ისევ ძველზე ვილაპარაკოთ?“ მაგრამ, რეალურად, სწორედ წამყვანის ფუნქცია იყო, რომ ამ დისკურსში არ გადაეყვანა დებატები და წარემართა ის საქმიანად და საგნობრივად.

დებატების ნაცვლად ურთიერთბრალდებების, დისკრედიტაციის და სიძულვილის ენის ტირაჟირებად იქცა კიდევ ერთხელ გადაცემა 21 სექტემბერს როდესაც ქსენოფობიურ ე.წ. ქართული მარშს ეძღვნებოდა. გადაცემაში რაოდენობრივადაც სჭარბობდნენ მარშის წარმომადგენლები. ჩანდა თითქოს ისინი ცდილობენ საქართველოს გადარჩენას, თავს სწირავენ ქვეყანას და სხვა ყველა მათ ებრძვის. შეურაცხმყოფელი, ჰომოფობიური და არაადეკვატური იყო ლადო სადღობელაშვილის გამოსვლა. მან თბილისის მერობის კანდიდატ გიორგი ვაშაძის ძმას „მამათმავალი“ უწოდა, რა დროსაც ინგა გრიგოლიამ ის ეთერიდან გათიშა, ბოდიში მოიხადა და დადო პირობა, რომ ამდენ სტუმარს აღარ მოიწვევს ეთერში. მიუხედავად ამისა, გადაცემა დასრულდა სანდრო ბრეგაძის ჰომოფობიური და შეურაცხმყოფელი სიტყვით. თავისი გამოსვლით მან საზოგადოების სხვადასხვა რგოლის დისკრედიტაცია სცადა, მათ შორის პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელების, სოროსის ფონდის, სექსუალური უმცირესობების. წამყვანმა ვერ შეძლო მისი შეჩერება. სწორედ წამყვანის პასუხისმგებლობაა ისე შეარჩიოს სტუმრები, რომ საკუთარი გადაცემა არ აქციოს სიძულვილის ენის პლატფორმად.

3 ოქტომბერს გადაცემამ თბილისის მერობის კანდიდატებს უმასპინძლა. ერთ-ერთი კანდიდატის, ალექო ელისაშვილის მიმართ დასმული კითხვების დიდი ნაწილი იყო სხვების განცხადებაზე კომენტარის თხოვნა. კიდევ ერთი კანდიდატი კახა კალაძე ერთვებოდა იმ ადგილიდან, სადაც მან ეკონომიკური პროგრამა წარადგინა, თუმცა გადაცემის წამყვანი ამ პროგრამის დეტალებით არ დაინტერესებულა. რეალურად, აუდიტორიამ საარჩევნო პროგრამისა და დაპირებების რეალურობის შესახებ ღირებული ინფორმაცია ვერ მიიღო.

პირველები

22 სექტემბრიდან ეთერში ახალი გადაცემა გავიდა, რომელშიც ტელეკომპანია პირველის წამყვანები პოლიტიკურ პარტიებს პრეზენტაციის საშუალებას აძლევდნენ. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში მოწვეულნი იყვნენ ნაციონალური მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი, ალექსანდრე ელისაშვილი, შენების მოძრაობა, ახალი ერთობა-საქართველო, რესპუბლიკური პარტია, ლეიბორისტული პარტია.

ფორმატის მიხედვით სტუდიაში მოწვეულნი იყვნენ პარტიის ლიდერები, მერობის კანდიდატები, მხარდამჭერები. წამყვანები გადაცემის დასაწყისში პარტიის შესახებ მცირე ისტორიულ მიმოხილვას სთავაზობდნენ მაყურებელს, რის შემდეგაც უკვე პარტიებს აძლევდნენ საკუთარი ხედვების წარდგენის საშუალებას.

ჟურნალისტები სვამდნენ ლოგიკურ კითხვებს, რიგ შემთხვევაში კარგად უწევდნენ ოპონირებას პოლიტიკოსებს. მაგალითად, 28 სექტემბერს დიდი დრო დაეთმო სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებაზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვაზე პატრიოტთა ალიანსის შეხედულებებს. წამყვანმა მოახერხა ეჩვენებინა აუდიტორიისთვის რამდენად რელევანტურია მათი დაპირებები და ხედვები, ასევე საინტერესო კითხვები დაისვა ამ პარტიის რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამისგან განსხვავებით, ნაციონალურ მოძრაობასთან (22.09) დიდი დრო დაეთმო პარტიის თვითგამორკვევას - ვინ არის პარტიის ლიდერი, ვისი პარტიაა დღეს ნაციონალური მოძრაობა და ა.შ. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო თავად პარტიის საარჩევნო პროგრამას და კანდიდატებს. ზაალ უდუმაშვილმა ძალიან ზედაპირულად გააცნო მაყურებელს თავისი პროგრამა. წამყვანების კითხვები იყო ლოგიკური, თუმცა იძლეოდა მხოლოდ ზოგად სურათს. გადაცემისას სტუმარი გრიგოლ ვაშაძე გააღიზიანა შეკითხვებმა; მან შეიგინა, მაგრამ წამყვანებს ჰქონდათ ადეკვატური რეაქცია და ვაშაძეს მიუთითეს, რომ არასწორად მოიქცა. ლეიბორისტულ პარტიასთან კი დიდი დრო დაეთმო პარტიის წარსულ გამოცდილებას თვითმმართველობის არჩევნებზე, რაც 2017 წელს ნაკლებად საინტერესო იყო.

განსხვავებით პირველი სამი გადაცემისგან მონიტორინგის ბოლოს პარტიებს 2 საათის ნაცვლად ერთი საათი დაეთმო. ამგვარი არათანაბარი გადანაწილების მიზეზი აუდიტორიისთვის უცნობი დარჩა.

პოლიტმეტრი

გადაცემაში მიმდინარე ამბები განიხილებოდა და სტუმრებით შესაბამისად იყვნენ მოწვეულნი. წამყვანი უმეტესად კარგად იყო მომზადებული გადაცემისთვის, თანაბრად ანაწილებდა დროს რესპონდენტებს შორის, თუმცა გადაცემაში უკვე კარგად ნაცნობ თემებზე მსჯელობდნენ, იმ საკითხებზე, რაც მათ შორის ტვ პირველის ეთერში უკვე განხილული იყო. მაგალითად, ახალი კონსტიტუცია, თაბორის მთისა და პუშკინის სკვერისთვის სტატუსის შეცვლა და აშ. შესაბამისად მაყურებელი ნაკლებად იღებდა რაიმე ახალი ინფორმაციას, ანალიზს; უშუალოდ საარჩევნო პროგრამიდან კრიტიკული კითხვები კანდიდატების მიმართ არ ისმოდა.

ობიექტივი

ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში მონიტორინგის ქვეშ იყო გადაცემა „ღამის სტუდია“, რომელიც ყოველ დღე 22:30 საათზე გადის ეთერში.

ღამის სტუდია

ისევე როგორც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, ახლაც ეს გადაცემა მხოლოდ ერთი პარტიის, პატრიოტთა ალიანსის პლატფორმაა. ამ პარტიის წარმომადგენელი ჯამში 47-ჯერ იყო მიწვეული მაშინ, როდესაც სხვა პარტიის მხოლოდ 7 წევრი სტუმრობდა გადაცემას. აქედან მხოლოდ ერთი იყო კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის, დემოკრატიული მოძრაობის, წარმომადგენელი. სხვა პარტიებს გადაცემაში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონიათ. ღამის სტუდიას განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდნენ ეთერს პარტიის ლიდერები - დავით თარხან-მოურავი და ირმა ინაშვილი, რომლებიც იმდენად შინაურულად გრძნობდნენ თავს ეთერში, რომ თავად ჰკარნახობდნენ წამყვანს როდის შემოეყვანა ეთერში მაყურებელთა ზარები.

ზოგადად, გადაცემის წამყვანები და მისი რესპონდენტები (პატრიოტთა ალიანსის წევრები) სრულ თანხვედრაში იყვნენ და ფაქტობრივად არ ისმოდა არანაირი განსხვავებული აზრი. თითოეულ მათგანს დაუბრკოლებლად ეძლეოდა საკუთარი იდეებისა და არასწორი ფაქტების გავრცელების შესაძლებლობა. გადაცემის თემებიც ხშირ შემთხვევაში პარტიის აქტივობებს იყო მორგებული. მაგალითად, სექტემბერში არაერთი საათი დაეთმო პატრიოტთა ალიანსის აქციებს და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა ამ დემონსტრაციაზე მისასვლელად ხალხის მობილიზებას ისახავდა მიზნად.

წამყვანები პირდაპირ გამოხატავენ სიმპათიას პატრიოტთა ალიანსის მიმართ. მაგალითად, 6 სექტემბერს წამყვანმა ირმა ინაშვილს უთხრა *„გვინახავს ტელევიზიით ბიუროს სხდომაზე ან პარლამენტის სხდომაზე როგორ იბრძვით საქართველოს პარტიოტები და უპირველესად თქვენ იმისთვის, რომ ხალხის სიტყვა მიაწვდინოთ ხელისუფლებას პარლამენტში“*. 16 სექტემბერს ასევე ირმა ინაშვილს *„გმირი“* უწოდა, *„პატრიოტთა ალიანსს“* კი *„პატრიოტული სულისკვეთების ძალა“*.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად რთული იყო გადაცემის თემის გარკვევა, ვინაიდან სტუმრები და წამყვანი არაერთ თემას ეხებოდნენ და საუბარს ფოკუსი ფაქტობრივად არ გააჩნდა. მაგალითად, 24 აგვისტოს სტუმარი დავით თარხან მოურავი საუბრობდა, სააკაშვილზე, „ბოკერიებზე“, „სოროსებზე“, ტაო-კლაჯეთზე, თურქეთზე, ოსმალეთის იმპერიაზე, მეორე მსოფლიო ომზე, ჰიტლერისა და ჰიმლერის პოლიტიკაზე, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებზე. ანონსის მიხედვით კი, გადაცემის თემა რუსეთ - საქართველოს ურთიერთობა იყო.

გადაცემაში რამდენიმე ნარატივი მეორდება:

ნატო - რუსეთი - საქართველოს ურთიერთობები: პატრიოტთა ალიანსის წევრები წამყვანების დახმარებით ავრცელებდნენ მოსაზრებას, თითქოს საქართველოს არ აქვს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა. დასმულია დილემა - ნატო თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? საჭიროა რუსეთთან დიალოგი, ამისათვის კი უნდა შეიქმნას ახალი ფორმატი - ნატო- რუსეთი- საქართველო.

პარტიის წევრები იმყოფებოდნენ რუსეთში. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა ამ ვიზიტის გამართლებას ცდილობდა, რაშიც ეხმარებოდა წამყვანი და ნატოსადმი სკეპტიციზმს უწყობდა ხელს. მაგალითად, წამყვანი სვამდა ამგვარ კითხვას - *„მიუხედავად ქენევის ფორმატისა - ორმოცი რაუნდი გაიმართა - მიუხედავად ბრიუსელის ჩართულობისა და სურვილებისა, მიუხედავად ვაშინგტონის სურვილებისა - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების გასაღები არის რუსეთში, თუ რუსეთის ხელისუფლებასთან დალაპარაკებას ვერ მოვახერხებთ, ხელისუფლება, პოლიტიკური წრეები, ამ შემთხვევაში ხომ კიდევ უფრო დიდი საფრთხის ინაშე აღმოვჩნდებით?“* რის შემდეგაც რესპონდენტი დავით თარხან მოურავი ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, თითქოს ნატო გაფართოებას არ გეგმავს, რადგან აღარ სურს დამატებითი კონფლიქტები რუსეთთან. „საერთოდ ასეთი აზროვნება ტრაგედია - როგორ შეიძლება, რომ ნატო ან გაერო ან კვატო გაიცვალოს სოხუმში და ცხინვალში...“ - აღნიშნავდა ის (24.08).

1 სექტემბერს რუსეთიდან ჩამოსულ ადა მარშანიას წამყვანი მიესალმა სიტყვით „ს პრიუხდამ“. გადაცემის განმავლობაში რუსულ-ქართული ურთიერთობებზე საუბრისას წამყვანიც და სტუმარიც იყენებდნენ რუსულ ტერმინებს, წამყვანი არ შეწინააღმდეგებია სტუმრის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას - „ნატოსთან ისე ვთანამშრომლობთ, რომ ჩვენი ბიჭები ილუპებიან, მე მგონი ყველა ცხელ წერტილში რაც არსებობს დედამიწის ზურგზე“

თურქოფობია კიდევ ერთი ნარატივია, რომელიც ამ გადაცემის ეთერიდან ისმის როგორც სტუმრების, ისე წამყვანების მხრიდან. მაგალითად, 23 სექტემბერს დავით თარხან-მოურავმა თქვა, რომ „აჭარა დაპყრობილი ჰყავთ თურქებს“ და წამყვანი არათუ ედავება, არამედ კვირს უკრავს „დიახ, დემოგრაფიული, კულტურული და სოციალური ექსპანსიაა“.

ეროვნული ფასეულობების დაკარგვა - ძირითადი ხაზია, რომელიც გადაცემას გასდევს და ახდენს დასავლული კულტურისა და პოლიტიკური სისტემის დისკრედიტაციას. სტუმარი და წამყვანი თითქმის უნისონში ცდილობენ მაყურებელს აუხსნან, რომ დასავლეთში მიღებული განათლებით ეროვნულობა შეიძლება დაკარგოს, რადგან იქ მიღებული ცოდნა „ქართველობას ვერ გასწავლის“.

ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ კრიტიკა დიდი დოზით ისმის გადაცემაში. რასაც არ უნდა ეხებოდეს ტოქშოუ, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები მიდიან „ნაციონალური მოძრაობამდე“, როგორც საყოველთაო ბოროტებამდე, მათ შორის მოიაზრებიან ევროპული საქართველოს ლიდერებიც. „ბოკერიები“ - ასე მოიხსენიებენ ამ ძალას. ამ გადაცემაში ქართული ოცნების კრიტიკა და მისი ლიდერების დემონიზაციის მცდელობაც გვხვდება. მაგალითად (27.08) სტუმარი ვაჟა ოთარაშვილი ირაკლი კობახიძის მიმართ ამბობს: „მე ამ ბავშვში, ბიჭში დავინახე, არა პარლამენტის თავმჯდომარე, არამედ ქართულად მოლაპარაკე რობოტი, და ამან შემზარა. ეს ძალიან ძალიან სახიფათოა ჩვენი ქართული სახელმწიფოსთვის... მე დავინახე რომ კობახიძეები ერთი კი არა ბევრნი არიან უკვე, ანუ ქართულად მოლაპარაკე რობოტები, ეს სხვა ფენომენი შემოდის მომავალი თაობა, რომელსაც სისხლი გამოუცვალეს.“

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუებს - „ახალი სივრცე“ და „ფაქტორი“, ასევე საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ იმ ნაწილს, სადაც მონიტორინგის სუბიექტებთან ინტერვიუებს სთავაზობდნენ მაყურებელს.

ახალი სივრცე

მონიტორინგის დასაწყისში გადაცემა ეთერში გადიოდა კვირაში ერთხელ, სექტემბრის მეორე ნახევრიდან, წინასაარჩევნო რეჟიმში გადასვლისას, გადაცემის ნახვა უკვე კვირაში რამდენჯერმე იყო შესაძლებელი.

ვიდრე გადაცემა საარჩევნო პროგრამების წარდგენის ფორმატზე გადავიდოდა, სადისკუსიოდ სხვადასხვა თემა იყო შერჩეული და ბევრი სტუმარი მონაწილეობდა, რაც რიგ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ გადაცემის ლოგიკურ განვითარებას აფერხებდა. მაგალითად, [14 სექტემბერს](#) 15 სტუმარი იყო მოწვეული და, ფაქტობრივად, მთელი გადაცემა შეივსო იმით, რომ ყველა სტუმარმა გამოთქვა აზრი საარჩევნო გარემოს შესახებ. თუმცა წამყვანი სვამდა კრიტიკულ კითხვებს და ცდილობდა მთელი გადაცემის განმავლობაში უპასუხოდ არ დაეტოვებინა ყალბი ბრალდებები.

31 აგვისტოს გადაცემაში ბათუმის არქიტექტურას განიხილავდნენ. ჟურნალისტი სვამდა ზოგად კითხვებს - „რა პრობლემებია არქიტექტურაში? რა არის ეს სტილი? როგორ შეერწყა ახალი ძველს? თქვენ როგორს ისურვებდით?“ ამ კითხვებზე იღებდა გრძელ და ასევე ზოგად პასუხებს. ეთერში სტუმრად იმყოფებოდნენ მერიის თანამშრომლები, შესაბამისად, უმჯობესი იყო ჟურნალისტი შეიარაღებული ყოფილიყო კონკრეტული ფაქტებითა და არგუმენტებით, სცოდნოდა რეგულაციების დარღვევების შემთხვევები და პასუხი მოეთხოვა მათგან. წამყვანმა არც კრიტიკულად განწყობილ პირებს მისცა საშუალება, რომ მათ მაინც გაეწიათ ოპონირება ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. მოწვეული 15 სტუმრიდან, ორი იყო კრიტიკულად განწყობილი და კვალიფიციური ამ სფეროში. წამყვანმა ერთს (შოთა გუჯაბიძეს) მისცა სიტყვა გადაცემის დაწყებიდან 1 საათის და 8 წუთის შემდეგ, ხოლო მეორეს (ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს) მისცა სიტყვა გადაცემის ბოლოს. მისი პრეტენზიების მოსმენის შემდეგ გადაცემა დასრულდა.

რაც შეეხება საარჩევნო გადაცემას, ფორმატი უმეტესად საარჩევნო სუბიექტების პრეზენტაციას გვთავაზობდა და ნაკლებად ისახავდა მიზნად დისკუსიას. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ცდილობდა გარკვეული დამაზუსტებელი კითხვების დასმას, ის არ უწევდა მათ ოპონირებას და უთმობდა ტრიბუნას, შესაბამისად ტოქშოუ იქცა პლატფორმად საარჩევნო სუბიექტებისთვის. სტუდიაში პარტიის ლიდერთან ერთად მისი წევრებიც იმყოფებოდნენ და ვის როდის რაზე უნდა ესაუბრა, ამასაც ლიდერი განსაზღვრავდა. 28 სექტემბერს, როდესაც გადაცემას სტუმრობდა საარჩევნო სუბიექტი „ზვიადის გზა უფლის სახელით“, ისე დამთავრდა გადაცემა, სტუდიაში მყოფი ოთხ ადამიანს არათუ არ მისცემია მოსაზრების გამოთქმის საშუალება, არამედ, მათი ვინაობაც უცნობი დარჩა.

„შენების მოძრაობის“ სტუმრობისას, გადაცემის დასასრულს მოძრაობის ლიდერი მერაბ აბაშიძე სათითაოდ წარადგენდა საკუთარ თანამებრძოლებს, აქებდა მათ და მოიხსენიებდა „კარგ კაცად“, „თემის ბურჯად და ა.შ. ერთ-ერთ სტუმარს, მაყვალა გერძაძეს „ძალიან წარმატებული დიასახლისი“ უწოდა. წამყვანს არ ჰქონია რეაქცია.

უმჯობესი იყო წამყვანი მომზადებულიყო, გაცნობოდა კანდიდატების პროგრამას და იქიდან გამომდინარე დაესვა საქმიანი კითხვები; ლოგიკური განვითარება ჰქონოდა გადაცემას, რაც უზრუნველყოფდა იმას, რომ წამყვანს მიეღო ღირებული ინფორმაცია რესპონდენტებისგან და გადაცემა არ ქცეულიყო პარტიების ტრიბუნად.

გადაცემას ჰქონდა ტექნიკური პრობლემები, ეთერში შემოვიდა წამყვანისა და პროდიუსერის დიალოგი (28.09). როდესაც წამყვანი საუბრობდა, მის ნაცვლად კადრში დარბაზში მსხდომი სტუმრების სტატიკური კადრი ჩანდა. როდესაც კონკრეტულ პირს წარადგენდნენ, საერთო ხედით რამდენიმე ადამიანი ხვდებოდა კადრში და გაურკვეველი რჩებოდა ვისზე საუბრობდნენ.

ფაქტორი

გადაცემა ეთერში გადიოდა კვირაში ერთხელ და სხვადასხვა თემაზე დისკუსიას სთავაზობდა მაყურებელს. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ რამდენიმე გადაცემას სტუმრობდნენ მონიტორინგის სუბიექტები. მაგალითად, 15 სექტემბერს სასწავლო წლის დაწყების შესახებ გადაცემაში რელევანტური რესპონდენტები მონაწილეობდნენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტოქშოუში ჯერ ჩართეს საქართველოს მინისტრის მოადგილე, შემდეგ აჭარის განათლების მინისტრი და ბოლოს განათლების ექსპერტი. უმჯობესი იყო, სტუმართა თანმიმდევრობა პირიქით ყოფილიყო, რადგან ექსპერტმა სიმონ ჯანაშიამ მაყურებელს აუხსნა რა არის სისტემური პრობლემები იმ სიახლეებთან მიმართებით, რაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩამოთვალეს. საინტერესო იქნებოდა სიმონ ჯანაშიას მიერ წამოწეულ საკითხებზე ხელისუფლების პასუხი.

წამყვანის კითხვა ზოგჯერ იყო რთულად ფორმულირებული, მოიცავდა რამდენიმე კითხვას, რაც საშუალებას აძლევდა რესპონდენტს სასურველი საკითხი ამოერჩია და მხოლოდ მასზე ესაუბრა. „*ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, იგეგმება ბავშვების სხვადასხვა ტიპის აქტივობებში ჩართვა. რა აქტივობებში ჩაერთვებიან უფრო კონკრეტულად ბავშვები? და გააჩნია თუ არა ყველა სკოლას შესაბამისი ინფრასტრუქტურა? არის თუ არა მზად სკოლები ამ სიახლისთვის?*“ - იკითხა ჟურნალისტმა და მხოლოდ პირველ, მარტივ კითხვაზე მიიღო პასუხი, შემდეგ კი სხვა, წინასწარ მომზადებულ კითხვაზე გადავიდა.

29 სექტემბერს გადაცემას პარტიების სიის პირველი ნომრები სტუმრობდნენ. გაეცანით მაყურებელს – ასე დაიწყო ჟურნალისტმა კანდიდატებთან საუბარი, რომლებიც ამის საპასუხოდ საკუთარ ბიოგრაფიას ჰყვებოდნენ. უმჯობესი იყო წამყვანს იქამდე მოეძიებინა სტუმრების შესახებ ინფორმაცია და თავად წარედგინა მაყურებლისთვის. ამის შემდეგ ჟურნალისტი სვამდა სტანდარტულ კითხვებს ყველასთან – გამოყავით მთავარი პრობლემები და ამ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი მხოლოდ წინასწარგაწერილ კითხვებს მიჰყვებოდა მკაცრად და არ სვამდა იმ კითხვებს, რომლებიც რესპონდენტთა პასუხებიდან ლოგიკურად ჩნდებოდა. შესაბამისად ერთგვარ ანკეტის შევსებას ემსგავსებოდა გადაცემა.

კვირის მთავარი

გადაცემა საინფორმაციო გამოშვების ფორმატისაა. რიგ შემთხვევაში რთავდნენ სტუმრებს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. სტუმრები იყვნენ რელევანტურნი და ისმებოდა ადეკვატური კითხვები. [1 ოქტომბერს](#) გადაცემას „ახალი სივრცის“ წამყვანი ირინა ყურუა უძღვებოდა, საუბრის თემა კი ახალი კონსტიტუცია იყო. განსხვავებით „ახალი სივრცისგან“ წამყვანი კარგად იყო მომზადებული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და ექსპერტთან დისკუსიისთვის, დინამიკურად წარმართა ტოქშოუ და მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და პოლიტიკური შეფასებების მიღება შეძლო.

რიონი

ტელეკომპანია „რიონი“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუს „თემა“, რომელიც კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში.

თემა

სექტემბრის დასაწყისში გადაცემის თემა ძირითადად იყო წინასაარჩევნო გარემო, სადაც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს იწვევდნენ. მოგვიანებით განაცხადეს რომ იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატების მოწვევას გეგმავენ. სამონიტორინგო პერიოდში სამტრედიის, ხობის, წყალტუბოს, ვანის, ბაღდათის, ზესტაფონის, ხარაგაულის და ტყიბულის მერობის კანდიდატები სტუმრობდნენ გადაცემას.

კანდიდატების მოწვევამდე საარჩევნო გარემოზე სასაუბროდ მოწვეულ სტუმრებთან ყველა გადაცემაში წამყვანი ერთნაირ ზოგად კითხვებს სვამდა:

- თქვენ რას გააკეთებთ პრობლემების მოსაგვარებლად?
- თქვენ რა შანსები გაგაჩნიათ, რატომ უნდა გენდოთ ამომრჩეველი?
- რამდენი ქალაი თქვენს საარჩევნო სიაში ან მაჟორიტარებს შორის?
- მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ?
- ჩამოთვალეთ ქუთაისის სამი მთავარი პრობლემა.

შედეგად მაყურებელი ვერ იღებდა კონკრეტულ ინფორმაციას საარჩევნო პროგრამების შესახებ. წამყვანი დისკუსიისთვის არ იყო სათანადოდ მომზადებული, ვერ სვამდა კონტრკითხვებს და ვერ უწევდა ოპონირებას სტუმარს საჭიროების შემთხვევაში.

მაგალითად, [19 სექტემბერს](#) წამყვანი პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელს ეკითხება ლიდერების რუსეთში ვიზიტის შესახებ. *„რუსეთში ვიზიტის შესახებ ვისაუბროთ თუ შეიძლება. ძალაღია საზოგადოების ინტერესი და თუ შეიძლება თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით, ძალიან მოკლე“*. სტუმარი პასუხობს რომ ვიზიტს „ცალსახად დადებითად“ აფასებს და რიტორიკულ კითხვას სვამს: *„ჩვენი მეფეები რა სპარსეთის შაჰებს არ ესაუბრებოდნენ თურქეთის სულთნებს არ ესაუბრებოდნენ, ისინი არ იყვნენ მტრები?“* წამყვანი ოპონირებას ნაცვლად სტუმარს ეუბნება, რომ მას არ აქვს სტუმრის განცხადების შეფასების უფლება და რომ მხოლოდ მოსმენა შეუძლია.

მერობის კანდიდატების სტუმრობისას გადაცემის ფორმატი შეიცვალა. რესპონდენტებს განსაზღვრული თანაბარი დრო ჰქონდათ კითხვებზე საპასუხოდ, თუმცა ზოგჯერ დაცული არ იყო ეს პირობა. კითხვები ხშირ შემთხვევაში კომპლექსური იყო და ერთ ჯერზე რამდენიმე კითხვას აერთიანებდა. სტუმრისთვის და მაყურებლისთვისაც უკეთესი იქნებოდა ერთ თემაზე ფოკუსირება, რადგან მაყურებელს გარდა კანდიდატის გაცნობისა, საშუალება ექნებოდა

კონკრეტული ინფორმაცია მიეღო. მაგალითად „როგორ შეაფასებდით თვითმართველობის სამწლიან მუშაობას? დაასახელოთ სამი მთავარი პრობლემა, რომელიც თქვენთვის პრიორიტეტია და რომლის მოგვარებასაც აპირებთ, და როგორ მოაგვარებთ?“ (26.09)

წამყვანის კითხვები ზოგჯერ ძალიან ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, [მაგალითად](#), „ბაღდათი არის ვაზის სამშობლო, ასევე თხილი მოჰყავთ ბაღდათში. ჩვენ ვიცით თხილთან დაკავშირებული პრობლემები... თხილი და ფაროსანას პრობლემა, რომელიც ძალიან აწუხებს მოსახლეობას და ვაზი ტყუილად არ მიხსენებია. ჩვენ გვახსოვს პერიოდები, როდესაც გლეხმა აჭრა ვაზი სამწუხაროდ. გაქვთ თუ არა გზა მონახული ევროპულ ბაზარზე როგორ გავიდეს. მე ვიცი, რომ ცალკე ოჯახები და ა.შ. გადიან უკვე ბაზარზე და მათ მონახეს რეალიზების საშუალება, მაგრამ თქვენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს ამ შემთხვევაში და ასევე თქვენ, რომელსაც სურვილი გაქვთ, რომ გახდეთ ბაღდათის მერი რა გზები გაქვთ მოძებნილი ამ მიმართულებით და ფაროსანის პრობლემას როგორ გადაჭრით უახლოეს მომავალში?“ (28.09)

[5 ოქტომბერს](#) დემოკრატიული მოძრაობის „თავისუფალი საქართველო“ მერობის კანდიდატს ხარაგაულში, წამყვანმა ჰკითხა: „ბატონო გია, თქვენ გამოხატეთ თქვენი პოზიცია, თქვენი დამოკიდებულება კონკრეტულად ტალახიან წყალთან დაკავშირებით და დაადანაშაულებთ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. მე ასეთი კითხვა მაქვს თუ შეგიძლიათ კრიტიკის გარეშე აღნიშნოთ კარგი რა გაკეთდა ქართული ოცნების მმართველობის და მუშაობის პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობა მაქვს მხედველობაში“.

გადაცემაში კანდიდატები ჰპირდებოდნენ ხალხს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას, „მოწინავე ქალაქად“ ქცევას, პენსიების ზრდას, თუმცა წამყვანი არ ეძიებოდა, როგორ მოახერხებენ ამას. არ ცდილობდა, კანდიდატების სავარაუდოდ არარეალისტური დაპირებები გაებათილებინა, ან სულ მცირე, მათი დაპირებები მკაცრი კითხვის ნიშნის ქვეშ დაესვა ამომრჩევლის წინაშე.

ტელეარხი 25

ტელეარხი 25-ის ეთერში მონიტორინგის ქვეშ იყო გადაცემა „საზოგადოებრივი პოზიცია“, რომელიც ჯერ კვირაში ორჯერ, შემდეგ კი სამჯერ გადიოდა ეთერში და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებს იწვევდა.

საზოგადოებრივი პოზიცია

გადაცემას აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები და პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ და მათ ეძლეოდათ საშუალება თავისუფლად გამოეხატათ აზრი, ესაუბრათ საკუთარი დაპირებებზე. გადაცემა უმეტესად კანდიდატთა საარჩევნო ხედვებს აცნობდა აუდიტორიას, არსებულ პრობლემებზე მსჯელობდნენ და ნაკლებად

კეთდებოდა აქცენტი მათი მოგვარების გზებზე. წამყვანის კითხვები, ძირითად შემთხვევაში, იყო ზოგადი და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ის არ იყო სათანადოდ მომზადებული გადაცემისთვის.

19 სექტემბერს გადაცემას კახა ცისკარიძე სტუმრობდა, რომელსაც ჯერ დამოუკიდებლად სურდა ბათუმის მერობის კანდიდატად რეგისტრაცია, ბოლოს კი პარტია „საქართველო ერთობისა და განვითარებისთვის“ სახელით იყრის კენჭს. წამყვანი არ ეკითხება ცისკარიძეს რა ღირებულებების საფუძველზე გადაწყვიტა მან არჩევნებში ამ პარტიის სახელით მონაწილეობა, იკვეთება თუ არა მათ შორის იდეოლოგიური თანხვედრა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. წამყვანს არ ჰქონია კითხვა არც მაშინ, როდესაც ცისკარიძემ თქვა, რომ ბათუმის მერი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი. არც შემდეგ ჰქონია დამაზუსტებელი კითხვა, როდესაც წამყვანის კითხვაზე, რამდენად მზად არის სხვა პარტიებთან ითანამშრომლოს გამარჯვების შემთხვევაში, ცისკარიძემ უპასუხა, რომ საზოგადოებას სთავაზობს ერთობას და მისი მთავარი დასაყრდენი არის ბათუმის მოსახლეობა. რის გარშემო აერთიანებს მოსახლეობას გაუგებარი დარჩა.

ამგვარი ზედაპირული დისკუსია გამონაკლისი არ ყოფილა. 15 სექტემბერს, პატრიოტთა ალიანსის ბათუმის მერობის კანდიდატი ამომრჩეველს ჰპირდება ბათუმში მშენებლობის დარეგულირებას, დაზიანებული გზების შეკეთებას, ჭაობის დასახლების პრობლემების მოგვარებას, თუმცა წამყვანი არ ეკითხება კონკრეტულად როგორ მოახერხებს ამას, აქვს თუ არა პარტიას დათვლილი რა დაჯდება და რამდენ წელზეა ეს სამუშაოები გათვლილი. წამყვანი სვამს ასეთ კითხვას: „სხვა პრობლემებიც არსებობს ქალაქში, თქვენ წელან საუბრობდით რომ ეკონომიკური სიღუბეა. ამასთან დაკავშირებით რა იკითხება თქვენს პროგრამაში? რას სთავაზობთ სოციალურად დაუცველად ადამიანებს?“ ასეთ დროს ჟურნალისტმა უნდა იცოდეს „რა იკითხება“ კანდიდატის პროგრამაში და იქიდან გამომდინარე დაუსვას კითხვა, ჩაეძიოს, მოიყვანოს ფაქტები, არგუმენტები და მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია რამდენად რეალურია ამ პრობლემის მოგვარების მის მიერ არჩეული გზა. თუ კანდიდატს პროგრამა არ აქვს ან არ უწერია რაიმე ამ თემაზე, ესეც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა აუდიტორიისთვის.

აღსანიშნავია, რომ გადაცემამ ინდივიდუალურად მოიწვია ბათუმის მერობის კანდიდატები და შემდეგ 6 ოქტომბერს ერთად უმასპინძლა ყველა მათგანს; თუმცა მსჯელობა იმავე თემებზე მიმდინარეობდა რაც მანამდე უკვე მოსმენილი ჰქონდა 25-ე არხის აუდიტორიას და, შესაბამისად, ახალი ინფორმაცია არ მიუღია ამომრჩეველს.

თრიალეთი

მონიტორინგის ქვეშ იყო ტელეკომპანია „თრიალეთის“ ორი გადაცემა - „განსხვავებული აზრი“ და „შაბათის სტუდია“. პირველი გადაცემა ბევრ სტუმართან საუბარს ითვალისწინებს, მეორე

კი რამდენიმე სტუმართან ცალ-ცალკე ინტერვიუებს სთავაზობს აუდიტორიას. ორივე მათგანი კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში და ერთი წამყვანი ჰყავდა.

განსხვავებული აზრი

გადაცემის ფორმატის მიხედვით, გადაცემაში შერჩეულ თემაზე სასაუბროდ მოწვეულია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. რჩება შთაბეჭდილება, რომ გადაცემას არ გააჩნია ლოგიკური განვითარება, ფრაგმენტულია. წამყვანი არ არის სათანადოდ მომზადებული, მისი კითხვები ზოგადაა და ფაქტებით არ არის გამყარებული. ის არ სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, არ სთხოვს სტუმრებს მტკიცებულებებს, როდესაც ისინი ბრალდებებს უყენებენ ოპონენტებს. გადაცემა უფრო მეტად ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობს. შედეგად, მაყურებელი ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას სადისკუსიო თემაზე.

მაგალითად [15 სექტემბერს](#) რამდენიმე შემთხვევაში გადაცემა იქცა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის დაპირისპირებად. ეს ეთერი არ ყოფილა გამონაკლისი. სტუმრები არ პასუხობდნენ წამყვანის კითხვებს, იმ თემაზე აგრძელებდნენ საუბარს, რაც თავად აინტერესებდათ. შესაბამისად, წამყვანმა ვერ მართა დისკუსია. ამავე გადაცემაში ბრალდებები ისმოდა ცესკოს მიმართ, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციიდან გადაცემაში არავინ იმყოფებოდა.

წამყვანი ასევე არ ყოფილა მომზადებული დაესვა რელევანტური კითხვები [29 სექტემბერს](#) გადაცემაში წამოჭრილ თემებზე, როგორცაა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის პრობლემა და აშ. ამავე გადაცემის ბოლოს ჟურნალისტმა დასვა კითხვა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლის ბრალდებაზე, თითქოს გამგებელმა სიდედრს ბიუჯეტის ფულით აუშენა სახლი, რაც გამგებელმა უარყო. არანაირი მოკვლევა ამ საკითხზე ჟურნალისტსა და გადაცემაზე მომუშავე ჯგუფს მაყურებლისთვის არ შეუთავაზებია მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებების შესახებ გადაცემამდე იყო ცნობილი. უცნობი დარჩა ნამდვილად ასე მოხდა თუ არა, რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა გამგებლის სიდედრის სახლის მშენებლობაზე და რა ფორმით უკავშირდება ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტს.

შაბათის სტუდია

გადაცემას სტუმრობდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, წამყვანი იყო მიუკერძოებელი და არ ახდენდა რომელიმეს დისკრიმინაციას. თითოეულ სტუმარს ცალ-ცალკე უსვამდა ზოგად კითხვებს. შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, რატომ არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ სტუმრები, თუკი გადაცემაში თითოეულ მათგანთან მწვავე კითხვები არ დაისმებოდა და გადაცემას ერთგვარი Hard Talk-ის ფორმატი არ ექნებოდა. ამასთან, არხს

აქვს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები, მაგ. დაუბალანსებელი ხმა, გამოსახულება და ა.შ.

წამყვანის კითხვები არ იყო ფაქტებით გამყარებული. ის არ იშველიებდა ციტატებს, არ იყო მომზადებული თითოეულ რესპონდენტთან კრიტიკული კითხვების დასასმელად. მაგალითად, როდესაც ეთერში ჰყავდა ბადრი ნანეტაშვილი, არხის დამფუძნებელი, რომელიც ახლა „შენების მოძრაობის“ სიის პირველი ნომერია გორში, არაფერი უკითხავს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომ მისი პარტიის მერობის კანდიდატის წარდგენას გორის გამგეობის თანამშრომლები ესწრებოდნენ და მას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში სდებდნენ ბრალს. აუდიტორიისთვის წამყვანს არც ნანეტაშვილის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირები შეუხსენებია.

წამყვანის კითხვები ხშირად ისე ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, რომ არსის გაგება ჭირდა. მაგალითად: *„საარჩევნო სიტუაციაა, პერიოდია, ორ თვეში უკვე თვითმმართველობის არჩევნები იქნება. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლა ამ საკრებულომ ის იმედები მოსახლეობის რომ ჩართულობა გაზარდოს თვითმმართველობის არჩევნებზე თუ როგორ, თქვენ როგორ ფიქრობთ თვითმმართველობის არჩევნები არის მაინც ცენტრზე მიბმული, ესე განიხილავს ამომრჩეველი და ძირითადად განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ელოდება თუ ცვლილებებისთვის არის მოწოდებული?“* (9.09) რესპონდენტმაც უპასუხა რომ კითხვის არსი ვერ გაიგო, რას ნიშნავს „ცენტრზე მიბმული.“

ნაცვლად კრიტიკული კითხვებისა და საარჩევნო პროგრამებისა, წამყვანი ინტერესდებოდა, მაგალითად, ისეთი საკითხებით, თუ რატომ გადაწყვიტა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა კარდაკარ შეხვედრა მოსახლეობასთან ფართომასშტაბიანი შეხვედრის ნაცვლად, რა განწყობებია მოსახლეობაში, რამდენი მანდატით შედის პარტია წარმომადგენლობით ორგანოში და ა.შ.

ქვემო ქართლის ტელევიზია

ტელეკომპანია წინასაარჩევნო პერიოდში აუდიტორიას სთავაზობდა გადაცემას „არჩევნები 2017“, რომელიც კვირაში სამჯერ გადიოდა ეთერში.

არჩევნები 2017

გადაცემაში მონაწილეობდნენ რუსთავის, გარდაბნის, დმანისის მერობის კანდიდატები, რუსთავის საკრებულოს წევრობის კანდიდატები. გადაცემის დაწყებისას თითოეული მათგანის მცირე ბიოგრაფიულ მონაცემებს აცნობდნენ აუდიტორიას. წამყვანი არ იყო სათანადოდ მომზადებული კანდიდატებთან კონკრეტულ საკითხზე დისკუსიის გამართვისთვის. მაგალითად, 18 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც რუსთავის მერობის კანდიდატები კამათობდნენ დანამატებზე, პრემიებზე, ქალაქის ბიუჯეტზე, წამყვანს ამ ყველაფერზე არ

ჰქონდა ინფორმაცია და ვერ ერთვებოდა სტუმრების საუბარში. პოლიტიკოსები მანიპულირებდნენ ციფრებით, მაყურებლისთვის კი საბოლოოდ გაუგებარი დარჩა, თუ რეალურად რომელმა ხელისუფლებამ რა თანხა დახარჯა დანამატებზე და რეალურად შეადგენდა თუ არა დანამატები ქალაქის ბიუჯეტის 21 პროცენტს. კითხვები იყო ზედაპირული, არ გამომდინარეობდა კანდიდატების პროგრამიდან (რომლებიც შესაძლოა დოკუმენტური სახით არც არსებობს, თუმცა ეს უცნობი დარჩა მაყურებლისთვის). არ იცნობდა სტუმრების ხედვებს და სტუმარს ეკითხებოდა, როგორ ჰქონდა განსაზღვრული პროგრამაში ჯანდაცვის, ან განათლების, ბაღების მოწესრიგების საკითხები.

ხშირ შემთხვევაში წამყვანს უჭირდა დებატების მართვა, ვერ ანაწილებდა სათანადოდ დროს. მაგალითად, [20 სექტემბერს](#) ორ კანდიდატს შორის დაპირისპირება პირად კამათში გადაიზარდა, თუმცა წამყვანი თითქმის არ ცდილობდა შეურაცხყოფელი ფრაზების ტირაჟირების უფლება არ მიეცა სტუმრებისთვის. მხოლოდ ბოლო ეპიზოდში მოუწოდა თავშეკავებისკენ. ასეთი ეპიზოდების გამო უთანასწორო მდგომარეობაში რჩებოდნენ სხვა კანდიდატები. ეს პრობლემა განსაკუთრებით [27 სექტემბერს](#) გამოიკვეთა, როცა ეთერში თავად წამყვანმაც აღიარა, რომ ვერ მოახერხა დისკუსიის მართვა.

რამდენიმე გადაცემაში მისვლაზე უარი თქვა ქართული ოცნების წარმომადგენელმა. მაგალითად, [25 სექტემბერს](#), როდესაც ტოქშოუს გარდაბნის მერობის კანდიდატები სტუმრობდნენ. გადაცემა გახსნა სტუმრებისადმი კითხვით, თუ რატომ არ მივიდა ქართული ოცნების კანდიდატი სტუდიაში მათი აზრით, რასაც მოჰყვა მარჩიელობა და მმართველი პარტიის კანდიდატის კრიტიკა სტუმრების მხრიდან. წამყვანმა საშუალება მისცა კონკურენტებს გარკვეული ბრალდებები წაეყენებინათ მისთვის, მაგალითად ეწოდებინათ „არჩევნების გამყალბებელი“, „არაფრის გამკეთებელი“.

სექსისტური და სტერეოტიპული დამოკიდებულება წამყვანის მხრიდან ორ გადაცემაში გამოვლინდა. [18 სექტემბერს](#) მან გადაცემა დაასრულა ამ კითხვით, „რომელ სფეროს ანდობდით ქალებს, ბატონო ირაკლი?“ რესპონდენტის პასუხიც სტერეოტიპული იყო და უპასუხა, რომ ქალებს კულტურასა და სოციალურ მიმართულებას ჩააბარებდა. წამყვანს რესპონდენტისთვის აღარ უკითხავს, რატომ წარმოუდგენია მას ქალების როლი მაინცდამაინც კულტურასა და სოციალურ სფეროში, რატომ ფიქრობს, რომ ქალისთვის სწორედ ამ სფეროების „მინდობა“ იქნება გამართლებული. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის [გენდერის საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესების](#) მიხედვით მედიამ არათუ ხელი არ უნდა შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას, მასალა არ უნდა აძლიერებდეს სოციუმში გავრცელებულ მოსაზრებას ქალის და კაცის როლის შესახებ.

[20 სექტემბერს](#) კი წამყვანმა ასეთი კითხვა დასვა „მთლიანად ჩვენი რეგიონი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულია. ბევრი კვლევა აჩვენებს, რომ ქალები არიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. იცნობთ, თუ არა ამომრჩეველი ქალების პრობლემებს და გაქვთ თუ არა

გათვალისწინებული ეს თქვენ წინასაარჩევნო პროგრამაში?“ გაუგებარია, რატომ დაუკავშირა ქალების მიმართ ძალადობა წამყვანმა ეთნიკურ უმცირესობებს. კითხვის ამგვარი ფორმულირებით გარკვეული სტერეოტიპი გაამყარა, რომ ქალების მიმართ ძალადობა ხდება ეთნიკური უმცირესობების ოჯახებში. მის მიერ კითხვის ამგვარად ფორმულირება შესაძლოა აღვივებდეს ნეგატიურ განწყობას ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების მიმართ.

მეცხრე არხი

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „დიალოგი“, რომელიც 21 სექტემბრიდან კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში.

დიალოგი

საანგარიშო პერიოდში გასული სამი გადაცემიდან, მხოლოდ ორჯერ სტუმრობდნენ მას მონიტორინგის სუბიექტები. შესაბამისად, ანგარიშიც მხოლოდ ამ მონაცემებს ეყრდნობა. პირველ გადაცემას პოლიტიკური პარტიები სტუმრობდნენ, თუმცა მოწვეული სტუმრებიდან მხოლოდ ორმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. მეორე გადაცემაში ასპინძის და ადიგენის მერობის კანდიდატები მოიწვიეს, თუმცა ასპინძის მერობის მსურველი 5 კანდიდატიდან მხოლოდ ერთი მივიდა გადაცემაში, ადიგენის მერობის კანდიდატებიდან კი ორი მათგანი არ იღებდა მონაწილეობას. ამის შესახებ ამცნო წამყვანმა აუდიტორიას.

წამყვანი არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს, არ აზუსტებინებდა სტუმრებს საკითხებს, არ უწევდა ოპონირებას კანდიდატებს, რომლებიც გასცემდნენ დაპირებებს, რომ მოაგვარებენ ყველა პრობლემას, გაზრდიან პენსიებს; წამყვანი არ ეკითხებოდა რომელი საპენსიო ფონდით ან/და ფინანსური წყაროებით აპირებდა პარტია ამის გაკეთებას. [29 სექტემბერს](#) ერთ-ერთმა კანდიდატმა თქვა, რომ ვალე უნდა გახდეს ‘მოწინავე ქალაქი.’ ეს იყო მისი პასუხი წამყვანის კითხვაზე, თუ რა მთავარი აქცენტებია მათ საარჩევნო გეგმაში. კანდიდატს არ დაუზუსტებია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს და არც წამყვანი ჩაძიებია.

გურია

ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში ტოქშოუ „თქვენთან ერთად“ არასტაბილურად გადიოდა ეთერში. აგვისტოს თვეში ერთი გადაცემა მომზადდა და ისე შეწყდა, არც უცნობეზიათ მაცურებლისთვის, რომ ახლო მომავალში გადაცემის ნახვის საშუალება ტელეაუდიტორიას აღარ ექნებოდა. სექტემბრის მეორე ნახევრიდან გადაცემა ისევ გავიდა ეთერში. საერთო ჯამში, მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ოთხი გადაცემის მონიტორინგი განხორციელდა, რომლებშიც მონიტორინგის სუბიექტები მონაწილეობდნენ.

თქვენთან ერთად

გადაცემაში განხილული იყო საარჩევნო გარემო, სექტემბრის მეორე ნახევრიდან კი გადაცემაში მოიწვიეს მერობის კანდიდატები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მერობის მსურველებიც სტუმრობდნენ.

ზოგად თემებზე მომზადებულ გადაცემაზე უნდა ითქვას, რომ წამყვანი სვამდა ზოგად კითხვებს, არ იყო სათანადოდ მომზადებული.

[22 აგვისტოს](#) გადაცემის წამყვანი შესავალ ტექსტში გვამცნობს, რომ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ადამიანის უფლებების სტრატეგიის შესახებ დისკუსია გაიმართა. შემდეგ კი პირდაპირ წარმოგვიდგენს სტუმრებს და იწყებს მათთან საუბარს. სტუმრების პასუხებიდან და წამყვანის შესავლიდან ცოტათი ბუნდოვანი დარჩა, რა დოკუმენტზე საუბრობენ, რას მოიცავს სტრატეგია. გადაცემაში მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. არ ისმოდა განსხვავებული, ალტერნატიული, კრიტიკული აზრები. გადაცემიდან მხოლოდ ის მოისმინა მაყურებელმა, რომ ადამიანის უფლებების მხრივ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვაქვს, მთავრობა კარგ ნაბიჯებს დგამს და ადამიანის უფლებების შესახებ მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტი კარგია. წამყვანს ოპონირება არ გაუწევია არც ერთ საკითხში.

გარდა ამისა, საინტერესო დეტალია ისიც, რომ ამ დროს, როცა ამ გადაცემამ ადამიანის უფლებების სტრატეგიაზე გააკეთა ტოქშოუ, საკმაოდ საინტერესო პროცესები განვითარდა გურიის რეგიონში: გადადგა გუბერნატორი, ახალი გუბერნატორის ოფიციალური წარდგენა კი სწორედ 23 აგვისტოს, ამ გადაცემის ეთერში გასვლის მეორე დღეს იყო დაგეგმილი. ამ არხის სამიზნე აუდიტორიისთვის ეს საკითხი უფრო აქტუალური იქნებოდა, ვიდრე ის, რომ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ადამიანის უფლებების სტრატეგიაზე იმსჯელებს.

რაც შეეხება კანდიდატების მონაწილეობით გამართულ გადაცემას, ლანჩხუთის მერობის კანდიდატების სტუმრობისას წამყვანი გადაცემის დასაწყისში ყველა სტუმარს სთხოვდა საკუთარი პროგრამის წარმოდგენას. ისინი იწყებდნენ პრობლემებზე საუბარს, წამყვანი აწყვეტინებდა და მოუწოდებდა პროგრამაზე საუბრისკენ. უმჯობესი იყო წამყვანი მომზადებულიყო, გაცნობოდა კანდიდატების პროგრამებს და იქიდან გამომდინარე დაესვა კითხვები. სტუმრები ერთდროულად საუბრობდნენ, აწყვეტინებდნენ ერთმანეთს, გადადიოდნენ თემიდან თემაზე, უყენებდნენ ბრალდებებს ერთმანეთს და ზოგჯერ გაურკვეველი იყო, რაზე კამათობდნენ. წამყვანი ვერ მართავდა დებატებს, მხოლოდ წარმოთქვამდა შემდეგ ფრაზებს: „ძალიან გთხოვთ“, „თუ შეიძლება, დააცადეთ“ „ნუ ეჩრებიო“, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. წამყვანს რესპონდენტების მიმართ კითხვები ფაქტობრივად არ დაუსვამს, შესაბამისად, ამომრჩეველი ვერ იღებდა ღირებულ ინფორმაციას ([29.09](#)).

ჩოხატაურის მერობის მსურველებიდან კი მხოლოდ მმართველი პარტიის კანდიდატი მივიდა გადაცემაში, სხვა კანდიდატებმა ვერ მოახერხეს მისვლა, რის შესახებაც წამყვანმა ამცნო აუდიტორიას. ინტერვიუს ფორმატშიც კი წამყვანის კითხვები ზოგადი სახის იყო. გადაცემა მან ისევ თხოვნით დაიწყო, რომ კანდიდატს საკუთარ პროგრამაზე ესაუბრა. კანდიდატმა დაუბრალოვლად ისაუბრა მმართველი ძალის მიერ გაკეთებულ საქმეებსა და გეგმებზე. წამყვანის მიერ დასმული კითხვები ლოგიკურად არ გამომდინარეობდა რესპონდენტის პასუხებიდან. ის მხოლოდ წინასწარ გაწერილ კითხვებს მიჰყვებოდა და არათუ არ უწევდა ოპონირებას, არამედ დამაზუსტებელი კითხვაც კი არ დაუსვამს სტუმრისთვის.